თამარ მესხი
გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

ჯვრის მონასტრის სტატუსი სულთან სულეიმან I-ის (1520-1566) მიერ 1538 წელს გაცემულ ფირმანში და მისი შედეგები

აბსტრაქტი

სელიმ I-ის (1512-1520) მიერ 1517 წელს გაცემული ბრძანებულების საფუძველზე, იერუსალიმის მართლმადიდებელი ეკლესიის პატრიარქის, დოროთეოს ატალას (1505-1537), უფლებამოსილებაში დარჩა ხალიფა უმარის (634–644) ახტინამესა და შემდგომი სულთნების ბრძანებულებებით გადაცემული ეკლესია - მონასტრები, რომელთა შორისაც დასახელებულია ***„მონასტერი ჯვარისა, გურჯთა“***.

სულეიმან I-ის (1520-1566) მიერ 1538 წელს იერუსალიმის პატრიარქ გერმანესადმი (1537-1579 ბოძებულ ფირმანში ჯვრის მონასტერი მოიხსენიება როგორც „***მონასტერი მეგრელ - გურჯთა, ჯვარისა“***.

ბუნებრივია, ჩნდება კითხვები: I. როდის მოხდა და რამ გამოიწვია ეს ცვლილება? II. რა გავლენა მოახდინა ახალმა სტატუსმა იერუსალიმის ჯვრის მონასტერზე?

კვლევის შედეგად გაირკვა: იმერეთის მეფემ, ბაგრატ III-მ (1510-1565), 1535 წელს სამცხე იმერეთს შეუერთა, აჭარა და ჭანეთი კი გურიელს გადასცა. ამან ლევან დადიანის ისეთი გულისწყრომა გამოიწვია, რომ უარი უთხრა ბაგრატ III-ს მონაწილეობა მიეღო ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლებში 1543 და 1545 წელს.

1538 წლის ფირმანში იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ***„მეგრელ - გურჯთა“*** მონასტრად მოხსენიება იმას გვაფიქრებინებს, რომ განაწყენებული ლევან დადიანი 1535-1538 წლებს შორის სულთან სულეიმანს ეახლა და ერთგულება აღუთქვა. სანაცვლოდ სულთანმა ლევან დადიანს უფლება დაუმტკიცა ჯვრის მონასტერზე.

XVI საუკუნის მეორე ნახევარში ქართველებმა დაკარგეს რამდენიმე მონასტერი. ოსმალეთის ხელისუფლების მიერ გაზრდილი გადასახადების გამო, ჯვრის მონასტერი მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში იმყოფებოდა. XVII საუკუნის დასაწყისიდან ჯვრის მონასტერში ორი წინამძღვრის არსებობა დასტურდება. ერთი იყო აღმოსავლეთ საქართველოდან, მეორე – დასავლეთ საქართველოდან. არ არის გამორიცხული, მონასტერში ორი წინამძღვრის დადგინების საფუძველი 1538 წლის ფირმანი გამხდარიყო. თუმცა, ამ საკითხს საგანგებო კვლევა სჭირდება.

საკვანძო სიტყვები: *სულეიმან I, ფირმანი, ლევან I დადიანი, იერუსალიმი, ჯვრის მონასტერი, მონასტერი მეგრელ-გურჯთა.*

1517 წელს იერუსალიმის დაპყრობით გახარებულმა სელიმ I-მა (1512-1520 წწ.) გამოსცა ბრძანებულება, რომლითაც იერუსალიმის მართლმადიდებელი ეკლესიის პატრიარქს, დოროთეოს ატალას (1505-1537 წწ.), უფლებამოსილებაში

დატოვა ხალიფა უმარის (634–644 წწ.) ახტინამესა და შემდგომი სულთნების ბრძანებულებებით გადაცემული ეკლესია - მონასტრები, რომელთა შორისაც დასახელებულია ***„მონასტერი ჯვარისა, გურჯთა“***.[1]

1520 წელს სელიმ I გარდაიცვალა. ტახტზე ავიდა მისი შვილი სულეიმან I (1520-1566 წწ.), რომელმაც 1538 წელს ფირმანი უბოძა იერუსალიმის პატრიარქ გერმანეს (1537-1579 წწ.). ამ ფირმანში იერუსალიმის ეკლესია-მონასტრები დასახელებულია იმავე თანმიმდევრობით, როგორც სელიმ I-ის მიერ 1517 წელს გაცემულ ფირმანში. ოღონდ, ჯვრის მონასტერი მოიხსენიება როგორც ***„მონასტერი მეგრელ - გურჯთა, ჯვარისა“***. [2]

იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ისტორია არაერთმა მეცნიერმა იკვლია, მაგრამ 1538 წლის ფირმანში ასახულ ცვლილებაზე ყურადღება არავის გაუმახვილებია. არადა, ჩნდება კითხვები: I. როდის მოხდა და რამ გამოიწვია ეს ცვლილება? II. ახალმა სტატუსმა მოახდინა თუ არა გავლენა იერუსალიმის ჯვრის მონასტრის მართვა-გამგეობაზე?

1538 წლის ფირმანში იერუსალიმის ჯვრის მონასტერი რომ ***„მეგრელ - გურჯთა“*** მონასტრად მოხსენიება, ცხადია, სულთან სულეიმანის ერთპიროვნული გადაწყვეტილებით არ მოხდებოდა. ისიც ცხადია, რომ ამაში დადიანის ხელი ურევია. ქართული და უცხოური საისტორიო წყაროებიდან ჩანს, რომ ლევან I დადიანი (1533-1572 წწ.) 1557 წელს სულთან სულეიმანს სტამბოლში ეწვია. ანუ, მათი შეხვედრა მოხდა ფირმანის გაცემიდან 19 წლის შემდეგ. შეხვდნენ თუ არა ისნი ერთმანეთს 1538 წლამდე, ამის შესახებ პირდაპირი ცნობები არ არსებობს. ამიტომ თვალი გავადევნოთ ქართულ საისტორიო წყაროებს და ვნახოთ, გადაიკვეთა თუ არა მათი ინტერესები იმ 19 წლის განმავლობაში.

„ახალი ქართლის ცხოვრების“ თანახმად, სულთანმა წარმოუგზავნა კაცი ქართლის მეფე გიორგის (1525-1527 წწ.), იმერეთის მეფე ბაგრატს (1510-1527 წწ.) და კახეთის მეფე ლევანს (1520-1574 წწ.) და აუწყა, რომ იერუსალიმის ქართული სალოცავები უსჯულოებმა დაიპყრეს. მოუწოდა მათ, გაეძევებინათ მტერი, სანაცვლოდ კი სალოცავებს მათ გადასცემდა. ქართველმა მეფეებმა „ილაშქრეს“ იერუსალიმზე, *„განთავისუფლეს ქრისტეს საფლავი და ყოველნი წმიდანი ადგილნი“.* კმაყოფილმა სულთანმა დანაპირები შეასრულა და ქართველებს *„მოსცა ქრისტეს საფლავი, გოლგოთა, ბეთლემი, ჯვრის მონასტერი და სხუანი მონასტერნი... სიგელითა მტკიცითა“.* გახარებული მეფეები *„წარმოვიდნენ თჳსსა ადგილსა და მოვიდნენ მშჳდობით“.*[3]

---

[1] აქაც და სხვა შემთხვევაშიც ვსარგებლობთ ოსმალური დოკუმენტების ბერძნული და რუსული თარგმანებით (Ἀνάλεκτα Ἱεροσολυμιτικῆς Σταχιολογίας ὑπὸ Ἀνθύμου Παπαδοπούλου - Κεραμέως, τόμ. Γ΄, Ἐν Πετρούπολει: 1897, 219-222; Православный Палестинский Сборник, т. XIX, вып. I-й , С.-Петербург, 1904, 232-235).

[2] «Τὸ μοναστήριον τῶν Μεγγρέλιδων Γκιουρτζίδων»: Ἀνάλεκτα, III, 1897, 223. «Монастырь Креста, принадлежащий Мингрельцам Грузинам»: ППС, т. XIX, вып. I-й , 1904, 236.

[3] ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება: ქართლის ცხოვრება, ტ. II, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ (თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1959), 354. ამ ცნობამ აზრთა სხვადასხვაობა წარმოქმნა ჯერ კიდევ XIX საუკუნეში და დღემდე გრძელდება. ქართველ მკვლევართა ერთ ნაწილს მის სისწორეში ეჭვი არ ეპარება. სხვანი კი ქართველთა მიერ იერუსალიმის იარაღით აღებას გამორიცხავენ.

იმავე წყაროს თანახმად, *„შემდგომად ამისა ათაბაგი ყუარყუარე მიუდგა ხონთქარსა“.*[4] რა გახდა ამის მიზეზი, ბერი ეგნატაშვილი არ გვაუწყებს. მიზეზის დადგენა არც სხვა ქართული საისტორიო წყაროებით ხერხდება, მაგრამ მათი შეჯერებით, შესაძლებელია ვარაუდის გამოთქმა.

ბერი ეგნატაშვილის თანახმად, იერუსალიმში „სალაშქროდ“ მხოლოდ ხსენებული ქართველი მეფეები (გიორგი IX, იმერეთის მეფე ბაგრატ III და კახეთის მეფე ლევანი) იმყოფებოდნენ. ვახუშტი ბაგრატიონის და ტიმოთე გაბაშვილის თანახმად კი, მეფეებთან ერთად, იმყოფებოდა სამცხის ათაბაგი ყვარყვარე III (1516-1535 წწ.).[5]

თუ ბერი ეგნატაშვილის ცნობა სწორია, მაშინ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ყვარყვარე ათაბაგი იმან გაანაწყენა, რომ ქართველი მეფეები იერუსალიმში „სალაშქროდ“ მის გარეშე წავიდნენ. თუ ვახუშტი ბაგრატიონისა და ტიმოთე გაბაშვილის ცნობებია სწორი და „ლაშქრობაში“ ყვარყვარე ათაბაგმაც მიიღო მონაწილეობა, მაშინ იგი უკმაყოფილო დარჩენილა შედეგით. ანუ, სულთნის მიერ „ბოძებულ“ ქართულ სალოცავებზე ის გავლენა ვერ მოიპოვა, რასაც ელოდა. პრეტენზია კი უსათუოდ ექნებოდა, რადგან სამცხის ათაბაგები იერუსალიმის მონასტრებს უხვ შესაწირავებს უგზავნიდნენ.[6]

ასე იყო თუ ისე, მოვლენები დრამატულად განვითარდა: განრისხებული ბაგრატ III შეუკავშირდა კახაბერ გურიელს და ლევან I დადიანს (1533-1572 წწ.), შეიპყრო სამცხის ათაბაგი ყვარყვარე და დაატყვევა. 1535 წელს ათაბაგი ტყვეობაში გარდაიცვალა. იმავე წელს ბაგრატ III-მ სამცხე იმერეთს შეუერთა, აჭარა და ჭანეთი კი გურიელს გადასცა. ამ ფაქტმა ლევან დადიანის ისეთი გულისწყრომა გამოიწვია, რომ უარი უთხრა ბაგრატ III-ს მონაწილეობა მიეღო ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლებში 1543 და 1545 წელს.[7]

ჩვენი აზრით, 1527 წელს ქართველი მეფეები იერუსალიმში ჩავიდნენ, მაგრამ არა სალაშქროდ, არამედ ქართულ ეკლესია-მონასტრებზე უფლებების განსამტკიცებლად. მოგვიანებით, ოსმალეთთან მტრული ურთიერთობის გამო, ქართველ მეფეთა ეს მშვიდობიანი მოგზაურობა გადააზრებულ იქნა ლაშქრობად (თამარ მესხი, რომელი ისტორიული მოვლენა დაედო საფუძვლად ზეპირგადმოცემას ქართველთა იერუსალიმში ლაშქრობის შესახებ?, ახლო აღმოსავლეთი და საქართველო, XVI (2024), 136-144).

[4] ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, 354.

[5] ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა: ქართლის ცხოვრება, ტ. IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ. (თბილისი: „საბჭოთა საქართველო“, 1973), 400-401. ტიმოთე გაბაშვილი, მიმოსლვა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ელენე მეტრეველმა (თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია,1956), 79-80.

[6] ელენე მეტრეველი, მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის (XI-XVII სს.), (თბილისი: „მეცნიერება“, 1962), 77; ტიმოთე გაბაშვილი, მიმოსლვა, 0184; ლევან მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერები, ტ. II (თბილისი: თსუ გამომცემლობა, 1980), 112.

[7] ეს ბრძოლები სწორედ სამცხის გამო მოხდა. სულთან სულეიმანი სამცხეზე გავლენის დაკარგვას ვერ შეეგუა. 1543 წ., იმერეთის დასასჯელად, გამოგზავნა მუსა (მუსტაფა) ფაშა 22 000-იანი ჯარით, მაგრამ ქართველებმა გაიმარჯვეს. 1545 წელს სულთანმა უფრო ძლიერი ჯარი გამოგზავნა, დიარბექირისა და არზრუმის ფაშების სარდლობით. ამ ბრძოლაში, რომელიც მოხდა ბასიანში, სოხოისტას ველზე, ქართველები დამარცხდნენ.

1538 წლის ფირმანში იერუსალიმის ჯვრის მონასტერი რომ „***მეგრელ - გურჯთა~*** მონასტრად მოიხსენიება, იმას გვაფიქრებინებს, რომ ბაგრატ მეფეზე განაწყენებული ლევან დადიანი 1535-1538 წლებს შორის სულთან სულეიმანს ეახლა და ერთგულება განუცხადა. სამცხის დაკარგვით უკმაყოფილო სულეიმანი შეთავაზებას დათანხმდა და ლევან დადიანს, ერთგულების სანაცვლოდ, ჯვრის მონასტერზე უფლებები დაუმტკიცა. შესაბამისად, ლევან დადიანის უარი მონაწილეობა მიეღო ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლებში 1543 და 1545 წელს, განაპირობა არა მხოლოდ იმან, რომ ბაგრატ მეფეზე იყო განაწყენებული აჭარისა და ჭანეთის გამო, არამედ იმანაც, რომ სულთან სულეიმანთან შეთანხმება ჰქონდა დადებული.

სოხოისტას ბრძოლაში (1545 წ.) დამარცხების შემდეგ, ბაგრატ III ხელისუფლების განმტკიცებისათვის ზრუნვას შეუდგა. 1546 წელს ბაგრატ III-მ შეიპყრო ლევან I დადიანი და გელათის სამრეკლოში გამოამწყვდია, მაგრამ ლევან დადიანმა იქ მხოლოდ ორი წელი დაჰყო. ქაიხოსრო ათაბაგისა და როსტომ გურიელის დახმარებით, ლევან დადიანმა ტყვეობას თავი დააღწია, ისევ გაბატონდა ოდიშში და მეფისგან სრულიად დამოუკიდებელი გახდა. ასე ჩამოყალიბდა ოდიშის საერისთავოს ბაზაზე ოდიშის სამთავრო.

1557 წელს ბაგრატ III-ისა და გიორგი II გურიელისაგან შევიწროვებული ლევან I დადიანი სტამბოლს გაემგზავრა. სულთან სულეიმანის კარზე მყოფი პრუსიის ელჩის, გისელინ დე ბიუსბეკის, თანახმად, ლევან დადიანის ვიზიტის მიზანი ყოფილა, *„ითხოვოს საბრძოლო ხომალდები მისი მეზობელი იბერების წინააღმდეგ. იმ შემთხვევაში, თუკი იგი მიიღებს [ხომალდებს], მზად იქნება ხარკი გადაუხადოს სულთანს“*.[8]

ამ ვიზიტის შესახებ წერს აგრეთვე ლევან II დადიანი რატიათა მიმართ ბოძებულ გუჯარში და სიამაყით აღნიშნავს: *„ჰაჰა ჩუენი ლიონ დადიანი სტამბოლს წასულა, ქრისტეკოჩი სტამბოლს წაუტანია, და იქ ჰაჰაჩუენს გაუმარჯუებია და იმათი ძალით გამარჯუებული მოსულა, და ცხრა ხომალდი ბედნიერს ხუანთქარს წყალობად მიუცია და მათს აქეთ წამობრძანებულა, ქრისტეკოჩი, იქ სტანბოლს დაუგდია ხომალდების წინამძღურად და მდივნობაც უბოძებია, უფროსობაი ხომალდის“*.[9]

ლევან დადიანისთვის ცხრა საბრძოლო ხომალდის გადაცემის ფაქტი იმის დასტურია, რომ ეს არ იყო ლევან დადიანის პირველი ვიზიტი სტამბოლში. ვფიქრობთ, ასეთ ნდობას და გულუხვობას უსათუოდ წინ უსწრებდა ხანგრძლივი თანამშრომლობა. ამ თანამშრომლობას კი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საფუძველი უნდა ჩაყროდა 1535-1538 წლებს შორის.

ამრიგად, სულთან სულეიმანის მიერ 1538 წელს გაცემული ფირმანიდან ირკვევა, რომ ბაგრატ მეფეზე განაწყენებული ლევან I დადიანი 1535 - 1538 წლებს

---

[8] ბუსბეკის (ოგიერ გისელინი ბუსბეკი) წერილი გაგზავნილი 1582 წელს თურქეთიდან (ტექსტი ლათინურ და ქართულ ენებზე. ლათინურიდან თარგმნა მ. კვატაიამ) ქართველოლოგიური კრებული, N 5 (2006), 94 -101; რ. შეროზია, უცხოური წყაროები საქართველოს შესახებ (ბუსბეკი), შოთა მესხიას სახ. ზუგდიდის უნივერსიტეტის შრომათა კრებული (2020),11-20. იხ. აგრეთვე: ბექა ჭიჭინაძე, საქართველოს ისტორიის უცნობი ქრონიკები (თბილისი: 2023), 183-189.

[9] ექვთიმე თაყაიშვილი, საქართველოს სიძველენი, ტ. II (თბილისი: 1909), 79.

შორის სულთან სულეიმანს ეწვია და გარკვეული შეთანხმება დადო, რომელიც წლების განმავლობაში არ დაურღვევია.

ქართველ მეფე-მთავართა უთანხმოება იერუსალიმის ქართულ ეკლესია-მონასტრებზეც აისახა. XVI საუკუნის მეორე ნახევარში ქართველებმა დაკარგეს რამდენიმე მონასტერი. ამის მიზეზად ქართველი მკვლევრები ასახელებენ ოსმალეთის ხელისუფლების მიერ გაზრდილ გადასახადებს და მონასტერთა ხელმოკლეობას. ცხადია, უსახსრობამ მონასტერთა დაკარგვაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანად მიგვაჩნია ოსმალეთსა და საქართველოს შორის იმ დროს არსებული ურთიერთობა: თუ 1524 -1541 წლებში ქართველებმა ფრანცისკანელებს ყველა სასამართლო დავა მოუგეს, 1545 წლიდან ეს დავები ფრანცისკანელთა სასარგებლოდ გადაწყდა. ჩვენი აზრით, ეს განაპირობა არა მხოლოდ იმან, რომ მაშინ ფრანცისკანელთა ლობი სულთნის კარზე ძლიერი აღმოჩნდა, არამედ იმანაც, რომ 1543 და 1545 წლის ომების შემდეგ ურთიერთობა ოსმალეთსა და საქართველოს შორის მტრული იყო.

საგულისხმოა ისიც, რომ XVII საუკუნის დასაწყისიდან ჯვრის მონასტერში დასტურდება ორი წინამძღვრის არსებობა. ერთი იყო აღმოსავლეთ საქართველოდან, მეორე – დასავლეთ საქართველოდან. მათმა დაუსრულებელმა დაპირისპირებამ, გარე ფაქტორებთან ერთად, ხელი შეუწყო იმას, რომ საბოლოოდ ჯვრის მონასტერიც სხვის ხელში აღმოჩნდა. არ არის გამორიცხული, ორი წინამძღვრის დადგინების საფუძველი სწორედ 1538 წლის ფირმანი გამხდარიყო. თუმცა, ამ საკითხს საგანგებო კვლევა სჭირდება.

გამოყენებული ლიტერატურა - References

აბულაძე, ცისანა. *თურქული წყაროები XVI ს. I მეოთხედის სამცხე-საათაბაგოს ისტორიისათვის,* თბილისი: „მეცნიერება“, 1983.

აბულაძე, ცისანა. *„წმინდა საფლავის მოხილვის ოსმალური კანონი“,* მრავალთავი *(ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი),* XIX (2001): 373-379.

ბაგრატიონი, ვახუშტი. *აღწერა სამეფოსა საქართველოსა:* ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო”, 1973.

ბახტაძე, მიხეილ. *ჯაყელთა საგვარეულოს ისტორია XI-XV საუკუნეებში,* თბილისი: გამომცემლობა „არტანუჯი“, 2008.

ბუსბეკი, ოგიერ გისელინი. *წერილი გაგზავნილი 1582 წელს თურქეთიდან* (ტექსტი ლათინურ და ქართულ ენებზე. ლათინურიდან თარგმნა მ. კვატაიამ), ქართველოლოგიური კრებული, N 5 (2006): 94 -101;

გაბაშვილი, ტიმოთე. *მიმოსლვა*: ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ელ. მეტრეველმა. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, 1956.

ეგნატაშვილი, ბერი. *ახალი ქართლის ცხოვრება:* ქართლის ცხოვრება, ტ. II, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბილისი, 1959.

თაყაიშვილი, ექვთიმე. საქართველოს სიძველენი, ტ. II, თბილისი: საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების გამოცემა, 1909.

მამისთვალიშვილი, ელდარ. *საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია,* I (XV-XVI სს.). თბილისი: გამომცემლობა „მერიდიანი“, 2009.

მენაბდე, ლევან. *ძველი ქართული მწერლობის კერები,* ტ. II, თბილისი: თსუ გამომცემლობა, 1980.

მესხი, თამარ. რომელი ისტორიული მოვლენა დაედო საფუძვლად ზეპირგადმოცემას ქართველთა იერუსალიმში ლაშქრობის შესახებ?, *ახლო აღმოსავლეთი* და *საქართველო*, N XVI (2024), 136-144.

მეტრეველი, ელენე. *მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის (XI-XVII სს.).* თბილისი: „მეცნიერება“, 1962.

ნინიძე, დავით. *პროვინციის მეფეები XIV-XV სს. საქართველოში.* თბილისი: თსუ გამომცემლობა, 1995.

ჟანენი, რემონ. *ქართველები იერუსალიმში.* სტამბოლი: საბეჭდავი კათოლიკე ქართველთა სავანისა, 1921.

სვანიძე, მიხეილ. *თურქეთის ისტორია (1299-2000)*. თბილისი: გამომცემლობა „არტანუჯი“, 2007.

სვანიძე, მიხეილ. *სულეიმან I-ის საგარეო პოლიტიკა და დაპყრობითი ომები:* საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ნარკვევები. თბილისი: გამომცემლობა „ნეკერი“, 2008.

სოსელია, ოთარ. *სამეგრელოს სამთავროს წარმოშობის საკითხისათვის,* საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის მიმომხილველი, II (1966), 170 -181.

შეროზია, რევაზ. უცხოური წყაროები საქართველოს შესახებ (ბუსბეკი), *შოთა მესხიას სახ. ზუგდიდის უნივერსიტეტის შრომათა კრებული* (2020), 11-20.

ჭიჭინაძე, ბექა. *საქართველოს ისტორიის უცნობი ქრონიკები,* თბილისი: სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2023.

ხორავა, ბეჟან, და ვაჭრიძე, გოდერძი. *ბაგრატ III იმერეთის მეფე,* თბილისი: გამომცემლობა: პალიტრა L, 2019.

ჯაფარიძე, გოჩა. *ქართველთა სავანეები და სამონასტრო თემი წმინდა მიწაზე XI-XVIII საუკუნეებში.* თბილისი: გამომცემლობა „მერიდიანი“, 2018.

Ἀνάλεκτα Ἱεροσολυμιτικῆς Σταχιολογίας ὑπὸ Ἀνθύμου Παπαδοπούλου - Κεραμέως, τόμ. Γ΄, Ἐν Πετρούπολει: 1897.

Χρυσοστόμου, Παπαδοπούλου (Σχολάρχου τῆς Θεόλ. Σχολῆς τοῦ Σταυροῦ). *Ἡ Ἱερὰ Μονὴ τοῦ Σταυροῦ καὶ ἡ ἐν αὐτῇ Θεολογικὴ Σχολή.* Ἐν Ἱεροσολύμοις: 1905.

Χρυσοστόμου, Παπαδοπούλου (Ἀρχιεπισκόπου Ἀθηνῶν καὶ πάσης Ἑλλάδος). *Ἱστορία τῆς Ἐκκλησίας Ἱεροσολύμων*, ἐν Ἀθήναις: 1970.

Православный Палестинский Сборник (ППС). Том XIX, Выпуск 1й. С.-Петербург: 1904.